



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

24 ნოემბერი 2025



N 725/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში შპს „ვესტ ინვესტ“-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ვესტ ინვესტ“-ის მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში, შპს „ვესტ ინვესტ“-ის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 34.02.62.341; ფართობი 4677 მ²) მშენებარე სამაცივრე მეურნეობის შიდა პერიმეტრის პერიოდული მორეცხვის (ზედაპირების და იატაკების ჰიგიენური რეცხვა) შედეგად წარმოქმნილი ე.წ. ნარეცხი წყლისა და სამაცივრე მეურნეობაში დასაქმებული პერსონალის მიერ წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, ამავე მიწის ნაკვეთის ნაწილზე დაგეგმილია ორი ერთეული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია. საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების განთავსების GPS კოორდინატებია: №1 – X-289935 Y-4672958; №2 – X-289919 Y-4672866. საპროექტო მიწის ნაკვეთს ჩრდილოეთით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა ესაზღვრება, ხოლო დაახლოებით 300 მეტრში – ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. საპროექტო მიწის ნაკვეთიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი/საცხოვრებელი სახლი დაახლოებით 2,3 კილომეტრით არის დაშორებული. საპროექტო მიწის ნაკვეთი მოიცავს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზია-ბრძანებას და მისი პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობები წარმოდგენილი იქნება „Biobox Standard“-ის მარკის გამწმენდი დანადგარებით, რომელთაგან №1 გამწმენდი დანადგარის წარმადობა დღე-ღამეში 0.6 მ³-ს შეადგენს და 3 ადამიანზე იქნება გათვლილი, ხოლო №2 გამწმენდი დანადგარის წარმადობა დღე-ღამეში 4 მ³-ს შეადგენს და 20 ადამიანზე იქნება გათვლილი. №2 გამწმენდი დანადგარი ასევე უზრუნველყოფს სამაცივრე მეურნეობის შიდა პერიმეტრის პერიოდული მორეცხვის (ზედაპირების და იატაკების ჰიგიენური რეცხვა) შედეგად წარმოქმნილი ე.წ. ნარეცხი წყლის გაწმენდას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო გამწმენდი დანადგარების შემადგენლობაში გათვალისწინებულია: სეპტიკური კამერა; ანაერობული ბიორეაქტორი; ბიოფილტრი; მეორადი დალექვის კამერა; აერაციის ავზი; ლამის დასალექი კამერა; აერობული და ანაერობული წმენდის კამერა; აერატორი; კომპრესორი; ტუმბო. პირველ ეტაპზე, ჩამდინარე წყლები მექანიკურად გაიწმინდება ქვიშისა და სხვა უხსნადი მინარევებისგან, რის შემდგომაც, საბოლოოდ გასაწმენდად, ორეტაპიანი ბიოლოგიური (ანაერობულ და აერობულ) გაწმენდის პროცესს გაივლის. გაწმენდის შემდგომ, ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 60 მგ/ლ; ჟმბ – 25 მგ/ლ; ჟქმ – 125 მგ/ლ; საერთო აზოტი – 15 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 2 მგ/ლ; PH – 6,5-8,5 მგ/ლ. №1 გამწმენდი დანადგარიდან გამოსული გაწმენდილი წყლის ჩაშვება დაგეგმილია გზის პირას გამავალ სანიაღვრე არხში (GPS კოორდინატები X-289934 Y-4672974), რომელიც არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მითითებულ წყალჩაშვების წერტილამდე გაწმენდილი ჩამდინარე წყლის მიყვანა მოხდება დაახლოებით 15 მეტრი სიგრძისა და 150 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მიწისქვეშა გამყვანი მილით. №2 გამწმენდი დანადგარიდან გამოსული გაწმენდილი წყლის ჩაშვება დაგეგმილია სადრენაჟე არხში (GPS კოორდინატები: X-289898 Y-4672728). მითითებულ წყალჩაშვების წერტილამდე გაწმენდილი ჩამდინარე წყლის მიყვანა მოხდება დაახლოებით 133 მეტრი სიგრძისა და 150 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მიწისქვეშა გამყვანი მილით. აღნიშნულ გამყვან მილზე მოეწყობა მომსახურე ჭები, რომელთა განთავსების GPS კოორდინატებია: №1 ჭა – X-289917 Y-4672860; №2 ჭა – X-289913 Y-4672835; №3 ჭა – X-289911; Y-4672817; №4 ჭა – X-289907 Y-4672789; №5 ჭა – X-289904 Y-4672767; №6 ჭა – X-289901 Y-4672748.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა მასშტაბურ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს არ საჭიროებს და აღნიშნული სამუშაოები არაუმეტეს 7 დღის განმავლობაში გაგრძელდება. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტი საპროექტო ტერიტორიის და მიმდებარე დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის იქნება გამოყენებული. საპროექტო გამწმენდი დანადგარების განთავსება დაგეგმილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში მშენებარე სამაცივრე მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. რაც შეეხება გაწმენდილი ჩამდინარე წყლის წყალჩაშვების წერტილებამდე მისაყვანად გათვალისწინებულ მილსადენებს, მათი მოწყობისთვის მწვანე სივრცეების ათვისების საჭიროება არ არსებობს. საპროექტო არეალი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოს ფაუნის, განსაკუთრებით კი საკონსერვაციო ღირებულების ფაუნის, წარმომადგენლებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო გამწმენდი დანადგარების მოწყობა და ექსპლუატაცია ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო გამწმენდი დანადგარების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ეტაპზე ემისიების და ხმაურის გავრცელების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება აღნიშნულ სამუშაოებში ჩართული ტექნიკა (მცირე ზომის ექსკავატორი და ამწე-მანიპულატორი). სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მცირე მასშტაბის და ხანგრძლივობის, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან დაშორების დიდი მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საპროექტო გამწმენდი დანადგარების სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლებიც დახურული ტიპის სადგურებს წარმოადგენს და მიწისქვეშ იქნება განთავსებული, ასევე იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესები დახურულ სისტემაში განხორციელდება, საპროექტო გამწმენდი დანადგარების ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება,

მათ შორის, არასასიამოვნო სუნის წარმოქმნელი ნივთიერებებით ჰაერის ხარისხის გაუარესება, მოსალოდნელი არ არის. საპროექტო გამწმენდი დანადგარების გამართულად ოპერირების პირობებში არასასიამოვნო სუნის გავრცელება მოსალოდნელია მხოლოდ ლამის ამოღების დროს, რაც საშუალოდ წელიწადში ერთხელ განხორციელდება და დაახლოებით 20-30 წუთის განმავლობაში გაგრძელდება. უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე/საცხოვრებელ სახლამდე დაშორების დიდი მანძილის და სისტემის განტვირთვის სიხშირისა/განტვირთვის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნულ პროცესს უახლოეს მოსახლეზე შემაწუხებელი ეფექტი არ ექნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ საპროექტო გამწმენდი დანადგარების საპასპორტო მონაცემების მიხედვით, გამართულად ოპერირების პირობებში, გამწმენდი დანადგარებიდან გამავალი ჩამდინარე წყალი არის გამჭვირვალე, სუფთა და არასასიამოვნო სუნით არ ხასიათდება.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საპროექტო გამწმენდი დანადგარების მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მოდელირება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით და მხედველობაში არ არის მიღებული ფიზიკური ფაქტორები, მათ შორის, ჰიფსომეტრიული სხვაობები და ბარიერული ეფექტი. მიღებული შედეგებით, საპროექტო გამწმენდი დანადგარების მოწყობის ეტაპზე 500-მეტრიან რადიუსში მიღებული ხმაურის დონე 19,4 დბა-ს შეადგენს. რაც შეეხება გაწმენდილი ჩამდინარე წყლის წყალჩაშვების წერტილებამდე მისაყვანად გათვალისწინებულ მილსადენებს, მათი მოწყობა გაგრძელდება 1-2 დღის განმავლობაში და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან დაშორების დიდი მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან აღსანიშნავია, რომ საპასპორტო მონაცემებით, საპროექტო გამწმენდი დანადგარები პრაქტიკულად უხმაუროდ მუშაობენ, რაც შესაძლებელს ხდის საცხოვრებელი შენობების მახლობლად მათ დამონტაჟებასა და ექსპლუატაციას. საპროექტო გამწმენდი დანადგარების ხმაურწარმოქმნელი ელემენტები მიწის ქვეშ, დახურულ სისტემაშია განთავსებული, რაც ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას პრაქტიკულად გამორიცხავს. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო გამწმენდი დანადგარების ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც შესრულებულია უარესი სცენარით და დაშვებულია, რომ ხმაურის წარმოქმნელი წყაროები ღია სივრცეშია განლაგებული, ხოლო ფიზიკური ფაქტორები, მათ შორის, ჰიფსომეტრიული სხვაობები და ბარიერული ეფექტი გათვალისწინებული არ არის. მიღებული შედეგებით დგინდება, რომ მოსალოდნელი ხმაური კონკრეტული საპროექტო გამწმენდი დანადგარის განთავსების ადგილზე იქნება ლოკალიზებული და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან/საცხოვრებელ სახლთან ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო გამწმენდი დანადგარების მოწყობის ეტაპზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, მოსალოდნელია მცირე რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა შეგროვება განხორციელდება სახიფათოობის/არასახიფათოობის მახასიათებლიდან გამომდინარე და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნარჩენის მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, საპროექტო გამწმენდი დანადგარების ფუნქციონირების პროცესში ადგილი ექნება ჭარბი ლამის წარმოქმნას. ორივე საპროექტო გამწმენდი დანადგარის ექსპლუატაციის ეტაპზე წლის განმავლობაში მოსალოდნელია ჯამურად დაახლოებით 950 ლიტრი ლამის წარმოქმნა, რომლის ამოტუმბვა და შემდგომი მართვის მიზნით ტერიტორიიდან გატანა სპეციალური ასენიზაციის მანქანით განხორციელდება. ლამის გადაცემა გათვალისწინებულია რეგიონში არსებული დიდი წარმადობის მქონე ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებზე, სადაც ლამის დამუშავება (გაუწყლოება, გაშრობა და ა.შ) ხორციელდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო გამწმენდი დანადგარების ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების დროს ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით, წინასაპროექტო ეტაპზე განისაზღვრა მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების მაქსიმალური რაოდენობები. აღსანიშნავია, რომ ორივე საპროექტო გამწმენდი დანადგარი გათვლილი და დაპროექტებული იქნა იმაზე მეტი რაოდენობის ჩამდინარე წყლების დამუშავებაზე, ვიდრე მშენებარე სამაცივრე მეურნეობაში პოტენციურად შეიძლება წარმოიქმნას. შესაბამისად, ავარიული სიტუაციის შემთხვევაშიც კი, ჩამდინარე წყლების გარემოში მოხვედრის რისკი პრაქტიკულად გამორიცხულია.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მოიცავს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების ლიცენზია-ბრძანებას და მისი პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სკრინინგის განცხადება გადაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელსა და ლიცენზიის მფლობელს ერთი და იგივე კომპანია (შპს „ვესტ ინვესტ“) წარმოადგენს, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების წინააღმდეგი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, საპროექტო გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიში შპს „ვესტ ინვესტ“-ის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გზმ-ს;

2. შპს „ვესტ ინვესტ“ ვალდებულია კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვესტ ინვესტ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვესტ ინვესტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/725-21-4-202511241409>

